პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 217 (10303) | სამშაბათი, 13 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის განცხადება

1955 წლის 10 სექტემბერს

პარჯიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის წინ

1 ოქტომბერს პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წელი დაიწყება. ამჟამად პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს ენერგიული მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. ბევრ ოლქსა და ქალაქში მთავრდება მეცადინეობა სკოლებისა და წრეების ლექტორთა, პროპაგანდისტთა გადასამზადებელ კურსებზე. ზუსტდება პარტიული განათლების ქსელი, მთავრდება ლექტორთა, პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა შერჩევა.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ჩადგება მშრომელთა უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი საყოველთაოსახალხო სოციალისტური შეჯიბრების ვითარებაში. პარტიული ორგანიზაციები იყენებენ პარტიის მიერ დასახული სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამის პროპაგანდის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს, რაზმავენ ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს მისი შესრულებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სხვა გადაწყვეტილებათა პროპაგანდას დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეკავება პარტიული განათლების ქსელის მთელ სასწავლო მუშაობაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ რეგულარული კითხვა ლექციებისა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ტექნიკის საკითხებზე, გააფართოონ ეკონომიური სემინარების ქსელი პარტიული, სამეურნეო აქტივისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესწავლა უნდა წარმოებდეს მოცემული რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, საწარმოს, კოლმეურნეობის ცხოვრებასთან განუყრელ კავშირში, ხელს უნდა უწყობდეს მასების შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარებას. პარტიული კომიტეტები და პარტიული ბიბლიოთეკები მოწოდებული არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ პროპაგანდისტებს მეცადინეობისათვის მომზადებაში, უზრუნველყონ ისინი ადგილობრივი ფაქტიური მასალით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების დარგში ნოვატორებისა და მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მუშაობის გამოცდილების შესახებ. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ პროპაგანდისტების, ლექტორების, კონსულტანტებისა და თეორიული სემინარების ხელმძღვანელების წინაშე ეკონომიური მეცნიერებისა და კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე მოხსენებებით გამოდიოდნენ ადგილობრივი ხელმძღვანელი და პარტიული მუშაკები, საწარმოთა დირექტორები და მთავარი ინჟინრები, ეკონომისტები, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების პოლიტეკონომიის მასწავლებლები.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი კადრების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის და კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შესწავლისადმი. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილონ კომუნისტების გაზრდილი მოთხოვნილებანი. პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა კადრებს აიარაღებს თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების კანონების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის კანონების ცოდნით, ეხმარება მათ უფრო ნაყოფიერად იმუშაონ ჩვენი საშობლოს საკეთილდღეოდ.

ცნობილია, რომ პროპაგანდისტულ მუშაობაში მთავარია მისი მაღალი იდეური შინაარსი, განუყრელი კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა შეაიარაღონ პროპაგანდისტთა კადრები კომუნისტური პარტიის უმდიდრესი პოლიტიკური გამოცდილების ცოდნით, მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ცოდნით. იმისათვის, რომ პროპაგანდისტები თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე იყვნენ, ისინი მოვალენი არიან მუდამ იმაღლებდნენ ცოდნას, შემოქმედებითად ეკიდებოდნენ თავიანთ მუშაობას, ანალიზს უკეთებდნენ მომხდარ ამბებს, სწავლობდნენ ცხოვრებისაგან და ხელს უწყობდნენ ახალი ცხოვრების შენებას. სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილ დროში პარტიული განათლების ქსელის ყველა რგოლი უზრუნველყოფილ უნდა იქნას მცოდნე და გამოცდილი პროპაგანდისტებით, დროზე დაიწყოს პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობა.

კომუნისტების პოლიტიკური სწავლების წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება დაკომპლექტებული პარტიული განათლების ქსელი. ამ საქმეში მთავარია ინდივიდუალური მიდგომა. ირკუტკის ოლქის მთელ რიგ პარტორგანიზაციებში კი, როგორც „პრავდის“ კორესპონდენტი იუწყება, ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებებია. ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების ბევრი საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. პოლიტიკური სწავლების ფორმების შერჩევაში ყოველთვის არ ითვალისწინებენ კომუნისტების მოთხოვნებს.

პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება ნებაყოფლობის პრინციპის დაცვის საფუძველზე უნდა წარმოებდეს. სწორად იქცევიან ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თვითეულ კომუნისტთან წარმოებს საუბრები მომავალი სწავლის შესახებ, კომუნისტებს ეძლევათ სრული შესაძლებლობა აირჩიონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლის ფორმები და მეთოდები, აიმაღლონ ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნა. ამასთან, რა თქმა უნდა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება პარტიის წევრს ავალებს სისტემატურად მუშაობდეს თავისი შეგნების ამაღლებაზე, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შეთვისებაზე.

გასულ წელს კომუნისტების ნახევარზე მეტი, მეცადინეობდა რა პარტიული განათლების ქსელში, დამოუკიდებლად სწავლობდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას. ასეთი ამხანაგების რიცხვი, უეჭველია, გაიზრდება, და ეს მოითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას ჩვენი კადრების პოლიტიკური თვითგანათლების ორგანიზაციისადმი. საჭიროა კომუნისტებს გაეწიოთ დახმარება დამოუკიდებლად შესწავლისათვის, საგნის, საკითხების, ლიტერატურის შერჩევაში. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც პირველად იწყებენ პოლიტიკურ თვითგანათლებას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ამხანაგები, რომლებმაც გადაწყვიტეს დამოუკიდებლად შეისწავლონ თეორია, სისტემატურად მუშაობდნენ თავიანთი ცოდნის ასამაღლებად მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში. ბოლო უნდა მოვუღოთ ისეთ შეუწყნარებელ მდგომარეობას, როდესაც ცალკეული კომუნისტები, რომლებმაც დამოუკიდებლად სწავლის ფორმა აირჩიეს, თვეობით და ზოგჯერ წლობითაც არ იხედებიან წიგნში, არ იჩენენ ინტერესს ლექციებისადმი, არ იღებენ მონაწილეობას სემინარებში, გასაუბრებაში და სხვა ღონისძიებებში.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ლექციური პროპაგანდა. საჭიროა ფრაზე დაიწყონ მუშაობა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულმა ლექტორიუმებმა, საჭიროა მოეწყოს კითხვა ლექციებისა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში და ლექციების ციკლებისა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოპულარული ლექციების მოწყობას მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესახებ. გასულ სასწავლო წელს მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ლექტორიუმების ბაზაზე შექმნილი იყო თეორიული სემინარები კომუნისტებისათვის, რომლებსაც სურდათ ლექციების მოსმენისა და რეკომენდებული ლიტერატურის წაკითხვის შემდეგ აზრთა გაცვლა სემინარებში. ასეთმა პრაქტიკამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება, და იგი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ. მხოლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ სემინარების მუშაობა გადადებულ არ იქნას შუა სასწავლო წლისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა იფიქრონ თეორიული სემინარების ხელმძღვანელთა შერჩევაზე, მათს ინსტრუქტირებაზე, სემინარების მუშაობის გეგმებზე.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებს ბევრ რამეს აძლევს როგორც თეორიული, ისე მეთოდური ხასიათის კონსულტაციები. გასულ სასწავლო წელს იყო კონსულტანტების დაგვიანებით შერჩევის შემთხვევები. ახლა უაღრესად ფართო გავრცელება უნდა ჰპოვოს საკონსულტაციო მუშაობამ. ყურადღების ღირსია უკრაინის, სვერდლოვსკის, სარატოვისა და მთელი რიგი სხვა ოლქების პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებიც შეუდგნენ საკონსულტაციო პუნქტების შექმნას სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებში, აგრეთვე მცირერიცხოვან პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებიც რაიონულ ცენტრს დაშორებული არიან, მაგრამ ერთმანეთთან ახლოს იმყოფებიან. საჭიროა უზრუნველვყოთ ეს საკონსულტაციო პუნქტები ლიტერატურით, გეოგრაფიული რუკებით, თვალსაჩინო ხელსაწყოებით, შევარჩიოთ კონსულტაციების ჩასატარებლად პოლიტიკურად მომზადებული ადამიანები პარტიული აქტივიდან და ადგილობრივი ინტელიგენციიდან.

პარტიულ განათლებაში სერიოზული მნიშვნელობა აქვთ პარტიულ ბიბლიოთეკებს. მათ აქვთ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურა, თვალსაჩინო ხელსაწყოები, ჰყავთ კონსულტანტების კვალიფიციური კადრები. საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ პარტიული ბიბლიოთეკების შესაძლებლობანი, ავამაღლოთ მათი მაორგანიზებელი როლი პარტიულ განათლებაში, გამოვაცოცხლოთ საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საკონსულტაციო მუშაობა, მივაღწიოთ ბიბლიოთეკებში არსებული წიგნის ფონდების უკეთ გამოყენებას.

ბევრ კომუნისტს სურს აიმაღლოს პოლიტიკური ცოდნა წრეებსა და პოლიტსკოლებში. პარტიულმა ორგანიზაციებმა არ უნდა შეასუსტონ თავიანთი ყურადღება სკოლებისა და წრეების ქსელის მუშაობისადმი, არ უნდა მიანდონ იგი თვითდინებას. არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის, რომ ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში დაადგენენ წრეებისა და პოლიტსკოლების ლიკვიდაციის გზას. პოლიტსკოლების შექმნისას საჭიროა მიღწეულ იქნას მათი ცოტათ თუ ბევრად თანაბარი შემადგენლობა მსმენელთა საერთო განათლებისა და პოლიტიკური მომზადების დონის მხრივ, გათვალისწინებულ იქნას კომუნისტების სურვილი და მიდრეკილება ამა თუ იმ საგნის შესწავლისადმი.

ადგილობრივი პარტიული კომიტეტების და მათი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების ამოცანაა დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს დროზე და ორგანიზებულად დაამთავრონ მზადება ახალი სასწავლო წლისათვის, უზრუნველყონ პროპაგანდისტული მუშაობის იდეური დონის შემდგომი ამაღლება. ადგილობრივმა პრესამ შეუსუსტებელი კონტროლი უნდა გაუწიოს მომავალი სწავლებისათვის მზადების მიმდინარეობას, გაბედულად და დროულად ამხილოს ნაკლოვანებანი.

მეცადინეობისათვის ორგანიზებულად მომზადება ბევრი მხრივ გადაწყვეტს მთელი ახალი სასწავლო წლის წარმატებას პარტიული განათლების სისტემაში.

„პრავდის“ 11-IX მოწინავე.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოიცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-6 ტომი

ფხენიანი. (საკდესი). როგორც კორეის პრესა იუწყება, კორეის შრომის პარტიის გამომცემლობამ კორეულ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-6 ტომი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო კომუნიკეში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შესახებ, მეორე სხდომაზე 10 სექტემბერს განცხადებით გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ა. ბულგანინი.

(ნ. ა. ბულგანინის განცხადების ტექსტი ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

სხდომის თავმჯდომარემ კანცლერმა კ. ადენაუერმა განაცხადა, რომ, სანამ სიტყვას მისცემდეს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, მას სურს შეჩერდეს საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადების ზოგიერთ პუნქტზე. კანცლერი შეეხო „სამხედრო ტყვეების“ ანუ, როგორც მან თქვა, „დაკავებულნი“ პირების საკითხს, აგრეთვე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხს.

(კანცლერ კ. ადენაუერის განცხადების ტექსტი ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

შემდეგ განცხადება გააკეთა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. ფონ ბრენტანომ, რომელმაც კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დაკავებული“ პირების და გერმანიის გაერთიანების საკითხები გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციას პირველი რიგის საკითხებად მიაჩნია. შემდეგ მან განაცხადა, რომ „დაკავებულ“ პირთა საკითხის გადაუჭრელად ურთიერთობის ნორმალიზაცია გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციას მეტად საძნელოდ მიაჩნია.

(ფონ ბრენტანოს განცხადების ტექსტი ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

შემდეგ კანცლერ კ. ადენაუერის და გ. ფონ ბრენტანოს გამოსვლებთან დაკავშირებით გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვი.

(ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის ტექსტი ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

შემდეგ სიტყვა მიეცა ვ. მ. მოლოტოვს.

(ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლის ტექსტი ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

კანცლერი კ. ადენაუერი გამოვიდა მეორედ და განაცხადა:

დღეს დილით ჩვენ მეტად სერიოზული საუბარი გვქონდა, და შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ გერმანიის დელეგაცია ძალიან დაწვრილებით და სერიოზულად განიხილავს თქვენს გამოსვლებს. მიუხედავად ამისა, მე ახლავე უნდა დავუბრუნდე ზოგიერთ გამოსვლას, ვინაიდან ასე მეჩვენება, რომ იმ პოზიციას, რომლის საფუძველზე ჩვენ აქ შევიკრიბეთ, გადახრა ემუქრება.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა დოქტორმა კ. ადენაუერმა საუზმე გამართა

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ფედერალურმა კანცლერმა დოქტორმა კ. ადენაუერმა 11 სექტემბერს საუზმე გამართა ქალაქგარეთა რეზიდენციაში.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ: ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

საუზმეზე იყვნენ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები: საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი გ. ფონ ბრენტანო, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი დოქტორი ვ. ჰალშტაინი, ფედერალური კანცლერის კანცელარიის სტატს-მდივანი დოქტორი გ. გლობკე, ელჩი გ. ბლანკენჰორნი, მინისტერიალდირექტორი დოქტორი ვ. გრევე, მეურნეობის სამინისტროს საგარეო-ეკონომიური განყოფილების ხელმძღვანელი დოქტორი გ. რაინჰარდტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო-პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი დოქტორი გ. ვან შერპენბერგი, ელჩი ფ. ფონ ეკარდტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი დესპანი დოქტორი ე.-გ. მორი, დესპანი დოქტორი გ. ფონ ვალტერი, მინისტერიალდირიგენტი დოქტორი უ. მიულერი, დოქტორი გ. კოხი, აგრეთვე დელეგაციის თანმხლები პირნი: ბუნდესრატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კ. არნოლდი, ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კ. გ. კიზინგერი და ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კ. შმიდი.

საუზმის დროს კ. ადენაუერმა და ნ. ა. ბულგანინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘᲡ

(დასასრული)

ბატონი საგარეო საქმეთა მინისტრი მოლოტოვი ამბობდა იმის შესახებ, რომ ამ მოლაპარაკების მიზანია ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. საბჭოთა მთავრობის 7 ივნისის ნოტის შესაბამისად ჩვენ სხვანაირად გვესმის ჩვენი შეხვედრის მიზანი. ამ ნოტაში ნათქვამია: „საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ მშვიდობისა და ევროპის უშიშროების ინტერესები, ისევე როგორც საბჭოთა და გერმანელი ხალხების ეროვნული ინტერესები, მოითხოვენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციას“.

ნოტაში შემდეგ ნათქვამია: „ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ ევროპაში მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება გადამწყვეტად დამოკიდებულია საბჭოთა და გერმანელი ხალხების ნორმალური, კარგი ურთიერთობის არსებობაზე“. ევროპაში მშვიდობის ინტერესებისა და ჩვენი ორივე ხალხის ინტერესებისათვის ჩვენ ჩამოვედით აქ, რათა აღვადგინოთ ნორმალური და კარგი ურთიერთობა ჩვენს ხალხებს შორის, და არა მარტო ამისათვის — ეს იქნებოდა ჩვენი ამოცანის მხოლოდ მცირე ნაწილი, — რომ დავამყაროთ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა. უფრო მეტიც, ჩვენ გვსურს აგრეთვე დავამყაროთ კარგი ურთიერთობა. აი ამიტომ ვფიქრობდით ჩვენ, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, ბატონებო, რომ აქ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ყველა დაკავებულის ბედზე, აი ამიტომ, ევროპის უშიშროების ინტერესებისათვის აქ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ გერმანიის გაერთიანების საკითხზე.

მე გადავდივარ მეორე პუნქტზე. ბატონმა ხრუშჩოვმა, აგრეთვე ბატონმა მოლოტოვმა თქვეს, თითქოს მე ვლაპარაკობდი იმაზე, რომ საბჭოთა არმიამაც თავისი მოსვლის შემდეგ ჩაიდინა ბოროტმოქმედებანი. კატეგორიულად ვაცხადებ — ეს მე შევამოწმე სტატს-მდივნის ჰალშტაინის ჩანაწერებით — მე შეგნებულად და წინასწარ განზრახვით არ მიხმარია ეს სიტყვა. მე ვთქვი, რომ ჯარების შემოსვლის დროსაც მოხდა საშინელებანი, და უფრო სწორი იქნება, თუ ასეთ რაღაცეებს აქ ღრმად არ ჩავწვდებით.

ბატონმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლოტოვმა თქვა, რომ გერმანელებს არ ძალუძდათ განთავისუფლებულიყვნენ ჰიტლერიზმისაგან. მაგრამ, ბატონებო, საწყენად ნუ მიიღებთ იმას, რასაც ახლა ვიტყვი — ეს შეეხება არა მარტო საბჭოთა კავშირს, არამედ მთელ რიგ სხვა ქვეყნებსაც. დიდმა სახელმწიფოებმა 1933 წლის შემდეგ რატომ მისცეს ჰიტლერს შესაძლებლობა ასე გაზრდილიყო? ეს ხომ გადამწყვეტი საკითხია. როდესაც მე ვფიქრობ იმაზე, თუ რა პატივს სდებდნენ ჰიტლერს დიდი სახელმწიფოები, მაგალითად, ოლიმპიური ასპარეზობის დროს ბერლინში — გთხოვთ გამიგოთ — მე მართლაც არ შემიძლია შევიკავო ჩემი ტემპერამენტი. მე არასოდეს არ დამავიწყდება როგორ დაუსჯელად შერჩენოდა ხოლმე ჰიტლერს საერთაშორისო ხელშეკრულებების ყოველგვარი დარღვევა. ამით ეს კაცი ზოგიერთი სულელი გერმანელის თვალში გმირი გახადეს, ხოლო სხვებში სასოწარკვეთილება გამოიწვიეს. აკი ხედავდით — მე ამას ვაკვირდებოდი 1933 წლიდან, — როგორ მისცეს ამ კაცს საშუალება ასე განდიდებულიყო, და ჩვენ, მე ვგულისხმობ ფედერალურ მთავრობას და ჩვენი პარლამენტის წევრებს, ყოველივე ამის უბედური მემკვიდრენი ვართ. ჩვენ უნდა შევეცადოთ — ვინაიდან გერმანიაც ძალიან დაზარალდა ომის დროს — ჩვენ უნდა შევეცადოთ აღვადგინოთ გერმანია; ჩვენ უნდა შევეცადოთ კვლავ მოვიპოვოთ უცხოეთის სახელმწიფოთა ნდობა, აგრეთვე თქვენი ნდობაც! მე ვიცი, რომ ეს ძნელი ამოცანაა, მაგრამ იგი უნდა გადაიჭრას.

ახლა მინდა ცოტა რამ მეთქვა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ თუ დიდი სახელმწიფოები შემდეგშიც განაგრძობენ მოლაპარაკების გონივრულად წარმოებას, როგორც მათ ამას უკვე ჩაუყარეს საფუძველი, მაშინ ის, რაც ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში არის მიღწეული, შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს უშიშროების ევროპის სისტემის ინსტრუმენტი. და მე ვფიქრობ, რომ ამ მიზნის მიღწევა უნდა იყოს დიდი და გონივრულად წარმოებული პოლიტიკის მიზანი.

ბატონებო, მინდა მთელი გულწრფელობით გითხრათ კიდევ ორიოდე სიტყვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის ცნობილია შემთხვევები — შემთხვევათა საკმაოდ დიდი რაოდენობა, — როცა გერმანელები, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ როგორც ჯარისკაცები, მსჯავრდადებულ იქნენ დანაშაულობათათვის, რომლებიც მათ ჩაიდინეს საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ. საბჭოთა ხალხი დიდად გულკეთილი და დიდად სულგრძელი ხალხია. იგივე შემიძლია ვთქვა ჩემს ხალხზე, და სწორედ ამიტომ ეს საკითხი ესოდენ დიდ როლს ასრულებს ჩვენს ხალხში. ჩვენ არაფერი სხვა არა გვსურს, გარდა იმისა, რომ თქვენ ჩვენთან ერთად მაინც შეისწავლოთ ეს საკითხი. მე ძალიან გთხოვთ ჩვენთან ერთად მაინც განიხილოთ ეს საკითხი. გთხოვთ ნუ იზამთ, რომ შინ დაბრუნდეთ ასეთი განცხადებით: საბჭოთა მთავრობამ საერთოდ უარი თქვა ელაპარაკნა ჩვენთან ამ საკითხზე.

ახლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. ბატონმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლოტოვმა ილაპარაკა იმაზე, — და მე ვფიქრობ რომ ბატონმა ბულგანინმაც თქვა ეს, — რომ გერმანელებმა თვითონ უნდა აიღონ თავიანთ ხელში ინიციატივა, რათა შეხვდნენ ერთმანეთს. ამაში ბევრი სიმართლეა, მე სავსებით ვეთანხმები ამას. მაგრამ, ბატონებო, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ შეიძლება ჰქონდეს იმის პრეტენზია, რომ წარმოადგენდეს საბჭოთა ზონაში მცხოვრებ 17 თუ 18 მილიონ გერმანელს, რადგან იგი საბჭოთა ზონის მცხოვრებლების მიერ აღიარებული არ არის მათ წარმომადგენლად. მერწმუნეთ, საქმე სრულებით ის არ არის, რომ ჩვენ აქ, თქვენს პირდაპირ, ვსხედვართ და ქედმაღლურად ვფიქრობთ ამა თუ იმ ქვეყანაზე, — ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. იმავე მომენტში, როცა დაბრუნდებით, რომ ჩვენს წინაშე ნამდვილად არიან საბჭოთა ზონის მოსახლეობის მიერ აღიარებული წარმომადგენლები, ჩვენ მათთან მოვუსხდებით ერთ მაგიდას. გერმანელ ხალხს, და მე ამაში დარწმუნებული ვარ, მაშინ ეკითხინება, თუ რა არის მისი ამოცანები და მისი მოვალეობა.

და კიდევ მინდა ზოგიერთი რამ ვთქვა, ბატონო ბულგანინ, გთხოვთ იქონიოთ მხედველობაში, რომ ჩვენ, გერმანელებს, ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, თუ როგორი გეოგრაფიული მდგომარეობა გვიკავია, და თქვენ ვერ გამონახავთ ვერავითარ უკეთეს ფაქტორს, რომელიც, თუ ოდესმე მოხდება ევროპაში ომის გაჩაღების ცდა, მეტყველებდეს ამის წინააღმდეგ, ვინაიდან ომით ჩვენ ყველაზე მეტად დავზარალდებით.

ახლა ნება მიბოძეთ შევეხო იმას, რაც ბატონმა ხრუშჩოვმა ეკონომიური ურთიერთობის შესახებ თქვა. მეც მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩვენს შორის საშეძლება განვითარდეს ორივე ქვეყნისათვის ფრიად ხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობა. მე მინდა შემოგთავაზოთ — თავი დავანებოთ ახლა ომის და ომისშემდგომ თემებს, რათა ჩვენმა ორივე მხარემ, თუ თქვენ ამას დაეთანხმებით, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, მოეთათბირთს ერთმანეთს დღის წარმოთქმული სიტყვების შესახებ და ყოველ შემთხვევაში დღეს საღამომდე აგრეთვე შეუდგეს ეკონომიური ურთიერთობის თემის განხილვას.

კ. ადენაუერის აღნიშნულ გამოსვლასთან დაკავშირებით გამოვიდა ნ. ა. ბულგანინი.

ვიდრე ეკონომიურ საკითხებზე გადავიდოდეთ, — განაცხადა ნ. ა. ბულგანინმა, — საჭიროდ მიმაჩნია გავაკეთო შემდეგი შენიშვნები. საბჭოთა დელეგაცია ცნობად იღებს თქვენს განცხადებას იმის შესახებ, რომ განიხილავთ ჩემს და ჩემი კოლეგების დღევანდელ გამოსვლებს, განიხილავთ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას. მე მინდა შევეხო გერმანიის გაერთიანებაში გერმანელთა როლის საკითხს.

მე სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არ გამოხდომას, იმას, რაც თქვენ თქვით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შესახებ. იმის გასაბათილებლად, რაც თქვენ თქვით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შესახებ, საკმარისია მოვიყვანოთ ასეთი ფაქტები.

ამას წინათ მე და ნ. ს. ხრუშჩოვი ვიყავით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჩვენ გავიარეთ 500-მდე კილომეტრი, ვიყავით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ვიყავით აგრეთვე ბევრ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში. ჩვენ ვნახეთ გერმანელი მოსახლეობის ნამდვილი დამოკიდებულება თავისი მთავრობისადმი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი. გერმანელ მოქალაქეთა დამოკიდებულება მოწმობს იმას, რომ მოსახლეობა პატივს სცემს, აღიარებს და თავის მთავრობად სთვლის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას.

ბოლოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სუვერენული მთავრობაა, რომელიც აღიარებულია ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მიერ. აღიარებულია ორი დიდი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ. ჩემი აზრით, ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გაბათილებულ იქნას თქვენი განცხადება. მე ვფიქრობ, რომ არგუმენტაცია, რომელიც აქ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციას მოჰყავს, ხელს ვერ შეუწყობს ურთიერთგაგებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის გერმანელი ხალხის ორი ნაწილის შეერთების საკითხის გადაწყვეტის საქმეში. რაც შეეხება წინადადებას იმის შესახებ, რომ ახლა გადავიდეთ ეკონომიურ საკითხებზე, საბჭოთა დელეგაციას არაფერი აქვს ამ წინადადების საწინააღმდეგო.

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიური ურთიერთობის შესახებ განცხადება გააკეთა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანმა დოქტორმა ვ. ჰალშტაინმა. მან აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა სპეციალური მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან იმის შესახებ თუ როგორი და რა მოცულობის უნდა იყოს საქონელგაცვლა.

(ვ. ჰალშტაინის განცხადების ტექსტი ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

ამ საკითხზე აზრთა გაცვლის მსვლელობაში ნ. ს. ხრუშჩოვმა კანცლერ ადენაუერს ჰკითხა, შესაძლებლად მიაჩნია თუ არა მას სავაჭრო ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ მოლაპარაკების წარმოება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციის ახლანდელი ჩამოსვლის დროს, თუ ეს უფრო გვიან მოხდება. კ. ადენაუერმა უპასუხა, რომ ახლა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციას, რამდენადაც მან არ იცის კონკრეტული პირობები მეურნეობის დარგში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ეკონომიური მოლაპარაკებისათვის, არ შეუძლია თქვას: „ჩვენ ვდებთ სავაჭრო ხელშეკრულებას“. ნ. ა. ბულგანინის კითხვაზე, ნიშნავს ეს თუ არა, რომ იქნება სპეციალური მოლაპარაკება და რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკიდან ჩამოვა სპეციალური ეკონომიური დელეგაცია, კანცლერმა ადენაუერმა უპასუხა, რომ მას მხედველობაში ჰქონდა სწორედ სპეციალური მოლაპარაკება სპეციალურ დელეგაციასთან.

ნ. ა. ბულგანინი დაეთანხმა ამას.

შემდეგ გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვი.

ჩვენი დღევანდელი სხდომა, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ძალიან საინტერესო და შინაარსიანია. ვნებათა ღელვას თუ ავყვებით, ძნელი იქნება განსახილველად წამოყენებული საკითხების გადაწყვეტა. მაგრამ თუ ჩვენ გონივრულად, სახელმწიფოებრივად განვიხილავთ აქ აღძრულ საკითხებს, თუ არ დავუშვებთ, რომ ვნებათა ღელვამ დაგვძლიოს, არამედ ჩვენ დავძლევთ ვნებათა ღელვას, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ახლა ბევრი რამ გვაქვს ისეთი, რასაც სერიოზულად უნდა დავუფიქრდეთ, რადგან მოხდა აზრთა ფრიად სასარგებლო გაცვლა.

რა თქმა უნდა, ჩვენს წინაშე მცირე სიძნელეები როდი დგას. ეს სიძნელეები იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ და თქვენ ვდგავართ იდეოლოგიური ხასიათის სხვადასხვა პოზიციებზე. ჩვენი შეხვედრა კი პირველია, ამიტომ ერთმანეთს ერთგვარი წინაზრახვით ვეკიდებით.

ამიტომ საჭიროა ერთგვარი დრო, რათა თქვენ და ჩვენ უფრო სრულად შევიგნოთ, რომ ვცხოვრობთ ერთ სამყაროში, ერთ პლანეტაზე. თქვენ კაპიტალისტური სისტემა გაქვთ, ჩვენ სოციალისტური სისტემა გვაქვს. ჩვენ მხარს არ ვუჭერთ თქვენს სისტემას, თქვენ კი მხარს არ უჭერთ ჩვენს სისტემას. მაგრამ რამდენადაც ეს სისტემები არსებობენ, საჭიროა ვეძებოთ რაღაც საერთო თვალსაზრისი, შეხების საერთო წერტილები ნორმალური თანაარსებობისათვის. საჭიროა ვემყარებოდეთ რეალური ვითარების პოზიციას.

ჩვენს ქვეყანაში ჩვენ შევქმენით მეურნეობის სოციალისტური წყობა, თქვენ კაპიტალისტური წყობა გაქვთ. ნუ ვიდავებთ იმაზე, თუ რა სჯობს — კაპიტალიზმი თუ კომუნიზმი. სოციალისტური მეურნეობა არსებობს და ძალიან წარმატებით ვითარდება. საბჭოთა კავშირი მოკლე ვადაში ჩამორჩენილი, ნახევრად ფეოდალური ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ — ეს უდავო ფაქტია. წერა-კითხვის უცოდინარი რუსეთიდან ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე გაიზარდა მძლავრ სახელმწიფოდ, რომლის ხალხსაც კულტურისა და პოლიტიკური შეგნების მაღალი დონე აქვს. და ეს არის სოციალიზმის გამარჯვების შედეგი, ხალხის გამარჯვების შედეგი. ჩვენ უმრავლესობა გამოგვყავა. თქვენ კარგად იცით, რომ პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, ჩინეთის რესპუბლიკის და ევროპისა და აზიის მთელი რიგი სხვა ქვეყნების ხალხებიც ამავე გზას დაადგნენ. ბევრ ქვეყანაში წარმოებს საშინაო ბრძოლა და ამ ქვეყნების ხალხები წყვეტენ საკითხს, თუ შემდგომ რა გზით განაგრძონ განვითარება. კომუნიზმი დიადი ძალა გახდა.

კომუნიზმის აღმოცენებაში „ბრალი მიგიძღვით“ თქვენც, გერმანელებს. მარქსი და ენგელსი ხომ გერმანიაში დაიბადნენ. თქვენი დათესილი თქვენვე მომკიეთ. (სიცილი).

ადენაუერი. თქვენ ალბათ იცით პფერდმენგესის სახელი? ის ენგელსის ნათესავია.

ხრუშჩოვი. აი სად ყოფილა ფესვები.

შეიქმნა ვითარება, როცა ერთი მეორის გვერდით არსებობს ორი სისტემა — სოციალისტური სისტემა და კაპიტალისტური სისტემა. ჩვენ სწორედ ამ ფაქტს უნდა ვემყარებოდეთ, რადგან ეს არის მთავარი. ამიტომ მოდით შევთანხმდეთ. მე მესმის რა სურს ბატონ ადენაუერს. თქვენ არ გინდათ სცნოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენ ეს კარგად გვესმის. რამდენი წლის მანძილზე კაპიტალისტურ ქვეყნებში ბევრი გაიძახოდა, ლენინი ფანტაზიორი ადამიანიაო. ამბობდნენ, რომ რუსეთში დიდხანს ვერ იარსებებდა საბჭოთა წყობილება, რომელიც შექმნეს დიდმა ლენინმა და მის მიერ დაარსებულმა კომუნისტურმა პარტიამ. დასავლეთში ამბობდნენ, საბჭოთა ქვეყანა თიხის ფეხებიანი დიდი სახელმწიფოაო. ლაპარაკობდნენ ბევრ სხვა ასეთსავე სისულელეს. რამდენ წელიწადს არა გვცნობდა ჩვენ, საბჭოთა რესპუბლიკას, ევროპის არც ერთი სახელმწიფო?

ბულგანინი. ამერიკის შეერთებული შტატები არა გვცნობდნენ 16 წლის განმავლობაში.

ხრუშჩოვი. დიახ. შეერთებული შტატები არა სცნობდნენ საბჭოთა კავშირს 16 წლის განმავლობაში. მაგრამ ამის გამო ჩვენ არსებობა არ შეგვწყვეტია.

იზრდება და მტკიცდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მასაც არა სცნობს ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფო, მაგრამ ამის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არა წყვეტს არსებობას. ახალი ყოველთვის ტანჯვით იბადება და მას დიდხანს არა სცნობს ძველი. აი ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება ახლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც.

რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგი? იმიტომ ხომ არა, რომ მისმა ხალხმა თავის ხელში აიღო ძალაუფლება, და რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა შენდება გერმანელი ხალხის ინტერესების საფუძველზე. განა ეს ცუდია? რატომ არ გამოხატავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გერმანელი ხალხის აზრს, თუ იგი ექომაგება და იცავს თავისი ქვეყნის მუშათა კლასის, გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის ინტერესებს? თქვენ პირველ პლანზე აყენებთ კერძო მეწარმეობას. რატომ თქვენ უნდა გესალმებოდნენ და მხარს გიჭერდნენ მუშები უფრო მეტად, ვიდრე იმ მთავრობას, რომელიც დგას მუშათა კლასის პოზიციებზე და იცავს ამ პოზიციებს.

თქვენი პოზიცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ჩვენთვის ნათელია, მაგრამ ამ პოზიციას ვერ დავეთანხმებით. თქვენი თვალსაზრისი არ წარმოადგენს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ჩვენ გვესმის, რომ ეს არის გარკვეული წრეების თვალსაზრისი, ამასთან მცირე წრეებისა გერმანიის მთელ მოსახლეობასთან შეფარდებით.

მე არ მოვითხოვ, რომ თქვენ დამეთანხმოთ. მე გარკვევით ვიცი, რომ ამას თქვენ არ დაეთანხმებით. მაგრამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — ეს არის მომავალი. ეს არის არამარტო გერმანელი ხალხის მომავალი. ამ მომავლის შესახებ ამბობდნენ მარქსი და ენგელსი. ჩვენ მხარი დავუჭირეთ გერმანელ მშრომელებს, როდესაც მათ დაიწყეს თავიანთი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შენება სოციალისტურ საწყისებზე. და ეს მათ კარგად გამოუდით.

შემდეგ მომხდარი რევოლიუციების გაცვლის მსვლელობაში კანცლერმა კ. ადენაუერმა გამოთქვა აზრი, რომ აზრთა სხვადასხვაობა იდეოლოგიურ საკითხებში არ წარმოადგენს დაბრკოლებას იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირმა და გერმანიის ფედერალურმა რესპუბლიკამ ერთმანეთთან ითანამშრომლონ.

სხდომის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებით ერთსულოვნად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დამთავრდეს აზრთა გაცვლა საერთო საკითხებზე და ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს დაევალოთ შეუდგნენ კონკრეტულ წინადადებათა მომზადებას მომხდარი აზრთა გაცვლის გათვალისწინებით. (საკდესი).

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠ Კ. ᲐᲓᲔᲜᲐᲣᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

1955 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ,

სანამ საგარეო საქმეთა მინისტრს მივცემდე სიტყვას, ნება მიბოძეთ შევეხო თქვენი განცხადების ზოგიერთ პუნქტს და გიპასუხოთ ამ პუნქტებზე.

მოვესალმები თქვენს განცხადებას, რომ თქვენც იმ თვალსაზრისს ადგახართ, რომ ყველა საკითხი უნდა განვიხილოთ სრული გულახდილობით. დიახ, ეს მართლაც ასეა. თუ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, კვლავ სურთ მიღწეულ იქნას ურთიერთობის ნორმალიზაცია, ჯერ პირდაპირ უნდა გამოითქვას ყველაფერი, რაც გულშია.

თქვენი სიტყვის დასაწყისში თქვენ, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, აწერეთ, თუ როგორ იტანჯებოდა საბჭოთა ხალხი უკანასკნელი ომის დროს. მე გულახდილად ვაღიარებ, რომ ამ ომის გამო საბჭოთა ხალხი განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა. მაგრამ თუ თქვენ ამბობთ, რომ გერმანელი ხალხი სხვა მდგომარეობაში იყო, ნებას მივცემ ჩემს თავს ყურადღება მივაპყრო იმას, რომ არ შეიძლება ჰიტლერი და ხალხი ერთ სინონიმად ჩაითვალოს. ეს ასეთი ადამიანი, ასეთი ბოროტმოქმედი, ასეთი ტირანი, ასეთი ბოროტმოქმედებანი, ასეთი ომი, ასეთი ტანჯვა-წამება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოღაპარაკებე

გ. ფონ ბრენტანოს განცხადების დასასრული

მაქვს ერთხელ კიდევ შევეხო ამ პრობლემის ჰუმანურ მხარეს და გითხრათ, რომ ჩვენს ორ ხალხს შორის ურთიერთობის ნამდვილი ნორმალიზაცია მეტად საძნელოდ გვესახება, თუ არ გადაწყდა ეს საკითხები ადამიანთა შესახებ, თუ არ დაგვეხმარებიან გამოვარკვიოთ ზედი ათასობით გერმანელისა, რომელთა ადგილსამყოფელი ცნობილია, და ასეულ ათასობით გერმანელისა, რომლებიც უკვალოდ დაიკარგნენ.

იგივე ეხება, ბ-ნო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეე, ბატონებო, გერმანელი ხალხის გაერთიანების საკითხს. მე მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ აქაც საჭიროდ მიგვაჩნია გულახდილად და პატიოსნად განვაცხადოთ, რომ ჩვენს ხალხებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას, მთელი ევროპისათვის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას უშიშროების ქმედითი გარანტიებით ყველა მისი მონაწილისათვის, სისტემისა, რომელიც ჩვენც გვსურს და რომელსაც მხარს ვუჭერთ ყოველ ეტაპზე, — არ ექნებოდა საფუძველი, თუ ისინი დამყარებული იქნებოდნენ გერმანიის გათიშვაზე. უშიშროების ასეთი სისტემა, ჩვენი აზრით, ჯანსაღი არ იქნებოდა და საფრთხეს კი არ შეამცირებდა, არამედ გააძლიერებდა.

თქვენ იმედი გამოთქვით, ბ-ნო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეე, რომ გერმანელებს (დაახლოებით ასე თქვით თქვენ) შეუძლიათ გამონახონ საერთო ენა, რათა გადალახონ სიძნელეები, რადგან გადაწყვეტის გამონახვა პირველ რიგში გერმანელი ხალხის ამოცანაა. ჩვენი სურვილი, რაზეც თქვენ აქ გელაპარაკებით და რაც ჩვენ ასევე სერიოზულად და ასევე მტკიცედ გვითქვამს და ვეტყვით სამ დანარჩენ სახელმწიფოს, რომლებსაც, თქვენი აზრითაც, ბ-ნო ბულგანინ, ეკისრებათ ვალდებულება გერმანიის ერთიანობის აღდგენაში, ასეთია: მიეცით გერმანელებს შესაძლებლობა ილაპარაკონ თავიანთ საერთო ენაზე და შეასრულონ თავიანთი საერთო მისწრაფება. ამისათვის საჭირო არ არის არც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, არც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ამისათვის საჭირია მხოლოდ მთელი გერმანელი ხალხის ვოტუმი. განა არის უკეთესი და უფრო მტკიცე საფუძველი, რომელსაც შეუძლია აღძრას, შექმნას და შეინარჩუნოს მეტი ნდობა, ვიდრე არის დემოკრატიული გადაწყვეტა, რომელსაც ნამდვილი დემოკრატიული გერმანიის შექმნა მოჰყვებოდა?

თქვენ, ბ-ნო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეე, სამართლიანად უარყავით ძალის პოლიტიკა. ბ-ნმა ფედერალურმა კანცლერმა უკვე გიპასუხათ ამაზე, და მე მსურს დავჯერდე სიტყვებს იმის შესახებ, რომ ჩვენში არ არის არავინ ისეთი კადნიერი ან სულელი, რომ მოითხოვოს ან მით უმეტეს განახორციელოს ძალის პოლიტიკა. ბ-ნო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეე, მგონია მეც ასევე მივხვდი თქვენი საკუთარი სიტყვებიდან, რომ თქვენ ძირითად საკითხში გვეთანხმებით ჩვენ, ე. ი., რომ არ შეიძლება იყოს ნამდვილი და მტკიცე წესრიგი, თუ იგი უზრუნველყოფილი არ იქნება კოლექტიური უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემით. ჩვენ მოვალენი ვართ უზრუნველვყოთ გერმანელი ხალხის იმ ნაწილის ასეთი უშიშროება, რომელიც ფედერალურ რესპუბლიკაში ცხოვრობს, და ჩვენი მიზანია გერმანელი ხალხის ეს ნაწილი შევიყვანოთ უშიშროების ნამდვილ სისტემაში, რომელიც ყველა მონაწილეს აძლევს იმის პირდაპირ გარანტიას, რომ მათ შეუძლიათ იცხოვრონ მშვიდობიანად და უშიშრად. თქვენ, ბ-ნო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეე, დაახლოებით შემდეგი თქვით: არ შეიძლება იყოს ჩვენი ხალხების ურთიერთობის ნორმალიზაციის გაჭიანურების არგუმენტები. მე უშენიშვნოდ გიერთდებით თქვენ, მაგრამ გთხოვთ დამიჯეროთ, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამასვე გრძნობთ თქვენც, რომ ჩვენი ხალხების ურთიერთობის ნორმალიზაცია არ შეიძლება იყოს მექანიკური მოქმედება, რომ გადაწყვეტა, რომელიც ეგრეთწოდებულ ნორმალიზაციას არანორმალურ საფუძველზე აშენებს, არაგულწრფელი და ცუდი იქნება. სწორედ ამიტომ, მე ამას ვიმეორებ, ბ-ნმა ფედერალურმა კანცლერმა არ წამოაყენა რაიმე წინასწარი პირობა, მან მხოლოდ ის აზრი გამოთქვა, რომ ჩვენმა ორივე მხარემ ყოველი ღონე იხმაროს, თუ გვინდა ნორმალიზაცია, გაათავისუფლოს მსოფლიო იმ მტანჯველი გრძნობისაგან, რომელიც დასადგურებულა ადამიანის სულის უაღრესად იდუმალ კუნჭულებში და რომელიც ხელს უშლის ამ ნორმალიზაციას, გაათავისუფლოს ფსიქოლოგიურად და მორალურად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნევრის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

1955 წლის 10 სექტემბერს

მე მსურს ზოგიერთი შენიშვნა გავაკეთო ფედერალური კანცლერის ბ-ნ ადენაუერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ფონ ბრენტანოს გამოსვლებთან დაკავშირებით. ბ-ნმა კანცლერმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ საბჭოთა ჯარები, — ისინი ისინი გერმანიის ტერიტორიაზე უტევდნენ, თითქოს აგრეთვე სჩადიოდნენ საოროტმოქმედებას. ჩვენ ამას კატეგორიულად უარვყოფთ. საბჭოთა ჯარები, რომლებმაც დამპყრობნი განდევნეს თავიანთი ტერიტორიიდან, მათ იმიტომ სდევნიდნენ, რომ ისინი არ ნებდებოდნენ, ჩვენ ჯარებს რომ ისინი არ ედევნათ, მტერი წელში გასწორდებოდა და ახალ შემოსევას გაამეორებდა. ამიტომ საბჭოთა ჯარებს არ შეეძლოთ შეჩერებულიყვნენ შუა გზაზე, მათ უნდა მიეღწიათ თავისი მიზნისათვის — გაენადგურებინათ მტერი. საბჭოთა მეომრები, რომლებიც განაგრძობდნენ გერმანელ ფაშისტთა მიერ თავსმოხვეულ ომს და ანადგურებდნენ მტერს, ასრულებდნენ წმიდა მოვალეობას თავისი ხალხის წინაშე, ღვრიდნენ საკუთარ სისხლს. განა ეს ბოროტმოქმედებაა?. რომელიმე ჯარები რომ თავს დაესხნენ გერმანიას და გერმანიის ჯარები თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდნენ, განა ამას შეიძლება ბოროტმოქმედება ეწოდოს? ეს ხალხს წმიდა მოვალეობაა. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ აქ დაშვებული იყო შეურაცხმყოფელი გამოთქმა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. ამან მაიძულა სწორედ გამეკეთებინა პირველი შენიშვნა.

ფედერალური რესპუბლიკის ბატონმა კანცლერმა და ბატონმა საგარეო საქმეთა მინისტრმა თავიანთ გამოსვლებში განაცხადეს, რომ ბევრმა ოჯახმა არაფერი არ იცის თავიანთ ახლობელთა შესახებ. ჩვენ გვესმის ამ ოჯახების — მამების, დედების, შვილებისა და ცოლების განცდები. მაგრამ იყავით მამაცნი და გვიჩვენეთ ნამდვილი დამნაშავენი. ვინ არის დამნაშავე, რომ ბევრი მარჩენალი და ახლობელი ვერ დაუბრუნდა თავიანთ ოჯახებს? ეს ჰიტლერმა და მისმა ხროვამ მოიტანეს ასეთი უბედურება. თუ ბევრი გერმანელი დაიღუპა, საბჭოთა ადამიანები უფრო მეტი დაიღუპა. ვისღა უნდა წარკუდგინოთ პრეტენზიები?

იტალიის ზოგიერთი სახელმწიფო მოდვაწე, რომლის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირი არასოდეს არ გამოსულა, პრეტენზიებს გვიყენებს იმის გამო, რომ ბევრი იტალიელი ჯარისკაცი, რომლებიც გერმანელ ფაშისტებთან ერთად ომობდნენ ჩვენს წინააღმდეგ, შინ არ დაბრუნებულა. სად არიან ჩვენი ჯარისკაცები? — კითხულობენ ისინი. დამარხული არიან საბჭოთა მიწაში.

ომი ჩვენ არ დაგვიწყია, ამიტომ ჩვენ როდი ვართ დამნაშავენი, რომ ბევრი თავის ოჯახებს ვერ დაუბრუნდა. მილიონობით ადამიანის დაღუპვა გაფრთხილება უნდა იყოს, რომ მომავალში ეს აღარ განმეორდეს. თუ ვინმე შეეცდება მომავალში გაიმეოროს ის, რის ჩადენასაც ჰიტლერი ცდილობდა, ეს იმითვე დამთავრდება, ხოლო შესაძლებელია უფრო მეტითაც.

მე მსურს, რომ სწორად გაგვიგონ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ბატონმა წარმომადგენლებმა. ჩვენ საკითხები უნდა განვიხილოთ მშვიდობიან ვითარებაში, გულღიად და გულწრფელად. მოლაპარაკების დროს ჩვენ უნდა ვემყარებოდეთ არა რაიმე გაბოროტების და, მით უმეტეს, შურისგების გრძნობას, გაბოროტება და შურისგება ცუდი მრჩევლები არიან და ვერასოდეს ვერ გვიკარნახებენ სწორ გადაჭრას. ეს უნდა გვესმოდეს. რა თქმა უნდა, ჩვენ სავსებით ვერ დავივიწყებთ იმას, რაც იყო, მაგრამ საკითხების გადაჭრისას უნდა ვემყარებოდეთ უწინარეს ყოვლისა არა წარსულს, არამედ მომავალს, ხოლო მომავალი ჩვენგან მოითხოვს საბჭოთა ხალხსა და გერმანელ ხალხს შორის კარგი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

მე ნებას მივცემ ჩემს თავს ვილაპარაკო კიდევ გერმანიის გაერთიანების საკითხზე, რომელსაც აქ შეეხნენ. ჩვენ გვესმის, რამდენად დიდმნიშვნელოვანი საკითხია ეს გერმანელი ხალხისათვის. მაგრამ თქვენ უნდა გაიგოთ სხვა რამეც. ჩვენ პატიოსნურად და პირდაპირ გავაფრთხილეთ გერმანელთა მხარე, რომ პარიზის შეთანხმებანი და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის შესვლა ნატოში გზას მოუჭრიან უახლოეს დროში ამ საკითხის გადაწყვეტას. მოდით ვიყოთ გულახდილნი: ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ საკითხის გადაჭრას იმ პლანით, როგორითაც თქვენ გსურთ მისი გადაჭრა.

ახლა გერმანიის გაერთიანება გაგებულია ისე, რომ გაერთიანებული გერმანია უნდა შევიდეს ნატოში, ხოლო ნატო მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ეს დაადასტურა ყველა ამბავმა, რომლებიც მოხდა. ეს დამტკიცებულია იმით, რომ როცა ჩვენ განვაცხადეთ, რომ გვსურს შევიდეთ ნატოში, — უარი გვითხრეს და უარი გვითხრეს იმიტომ, რომ ეს ბლოკი შექმნილია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. თუ იქმნება ჩვენს წინააღმდეგ მომართული ორგანიზაცია, ჩვენ, სახელმწიფო მოღვაწეებმა, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ იგი იყოს უფრო სუსტი და არა უფრო ძლიერი. ეს კანონიერი სურვილია. თუ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა შევიდა ნატოში, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ნატოში არ შედის, ჩვენ სულელები ვიქნებოდით, ხელი რომ შეგვეწყო იმისათვის, რომ მთელი გერმანია შევიდეს ნატოში და ამით ძლიერდებოდნენ ჩვენს წინააღმდეგ მომართული ძალები. დარწმუნებული ვართ, ასეთ მდგომარეობაში რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა იმყოფებოდეს, მისი ხელმძღვანელები ისევე მოიქცეოდნენ, როგორც ჩვენ ვიქცევით, და ისინი მართალი იქნებოდნენ.

როგორია გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან? ახლა პარიზის შეთანხმებათა გაუქმების საკითხის დასმა უკვე გვიანია, ისინი არსებობენ, და ამას არავინ არ დაეთანხმება. დასმა საკითხისა იმის შესახებ, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა გამოვიდეს ნატოდან, აგრეთვე არ არის რეალური, ეს ემსგავსებოდა რაღაც ულტიმატუმს ჩვენი მხრივ. ჩვენ ამ საკითხს არ ვაყენებთ, ამიტომ, ემყარება რა რეალურ ვითარებას, რომელიც დღევანდელი დღისათვის შეიქმნა, საბჭოთა მთავრობამ შეიტანა თავისი წინადადება გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და ჩვენს შორის ვაჭრობის ხელსაყრელი განვითარების პირობების შექმნის შესახებ, ხოლო ჩვენ ამ მხრივ ძლიერ დიდი შესაძლებლობა გვაქვს.

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას, რომელსაც მძლავრი მრეწველობა აქვს, შეუძლია ხელსაყრელი დაკვეთები მიიღოს საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირი მდიდარია მინერალური ნედლეულით და სოფლის მეურნეობის ნედლეულით. ამიტომ ჩვენი ქვეყნები — საბჭოთა კავშირი და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა — კონკურენტები არ არიან. დასავლეთში თქვენ ყველა სახელმწიფოსთან როდი შეიძლება გექნეთ ისეთი ხელსაყრელი პირობები სამეურნეო, სავაჭრო ურთიერთობისათვის, როგორც ჩვენს ქვეყნებს შორის. ვაჭრობა ნებაყოფლობითი საქმეა. თქვენ თუ გაქვთ საქონელი, რომელიც გსურთ გაყიდოთ, თუ ხელსაყრელია თქვენთვის მათი გაყიდვა, — გაყიდეთ. ჩვენც ასევე ვიქცევით. თუ თქვენთვის ხელსაყრელი არ არის ჩვენთან ვაჭრობის განვითარება, — ნუ განავითარებთ. ჩვენ შეგვიძლია ოღლად წავიდეთ. ჩვენი მეურნეობა შეიძლება წარმატებით განვითარდეს დასავლეთ გერმანიასთან ვაჭრობის უქონლადაც. მე ამას იმიტომ ვამბობ, — და ეს თქვენც იცით — რომ საბჭოთა ქვეყანა ისე ვრცელია, რომ მას აქვს თავისი მძლავრი მრეწველობაც და თავისი მინერალური ნედლეულიც, სოფლის მეურნეობის ნედლეულიც, ჰყავს საბელოვანი მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა, მეცნიერთა და ინჟინერთა კარგი კადრები. მაგრამ ჩვენ რომ თქვენთან სავაჭრო ურთიერთობა გვქონდეს, ეს ხელს შეუწყობს როგორც საბჭოთა ქვეყნის, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მეურნეობის განვითარებას.

კულტურული ურთიერთობის საკითხი. მე ვფიქრობ, რომ ბევრი ლაპარაკიც კი არ არის საჭირო ამ საკითხზე, რადგან ცხადია, რომ ასეთი ურთიერთობა საჭიროებულია ჩვენი ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

აი ჩვენი პოზიცია. ვკისრულობ გამცედაობას და ვამბობ, რომ თუ ჩვენი პატიოსანმოქმედი პარტნიორები მზად არ არიან ახლა დაიწყონ მოლაპარაკება და მიაღწიონ შეთანხმებას დიპლომატიური, სავაჭრო, აგრეთვე კულტურული ურთიერთობის დამყარების საკითხზე, თუ მათ სურთ მოიცადონ, მე მიმაჩნია, რომ შეიძლება მოცდა, — ჩვენ ქარი პირში როდი გვცემს, თუმცა ვფიქრობ, რომ ისეთი მდგომარეობის გაგრძლობა, როცა არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა ჩვენს დიდ ქვეყნებს შორის, არა მგონია გონივრული იყოს. გერმანელი ხალხის ინტერესები და საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესები მოითხოვენ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაციას. ეს შესაძლებლობას მოგვცემდა უკეთ გაგვეცნო ერთმანეთი, შესაძლებლობას მოგვცემდა აღმოგვეფხვრა უნდობლობა. ყოველივე ეს იქნებოდა გერმანიის სახელმწიფოს გაერთიანების წინაპირობა. ჩვენ ვიცით თქვენი პოზიცია. მაგრამ ჩვენ თქვენთან ერთად დაინტერესებული ვართ ურთიერთობის ნორმალიზაციით, დაძაბულობის შენელებით. ამიტომ სასარგებლო იქნებოდა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის კონტაქტის დამყარება. რა პირობებით უნდა გაეთდეს ეს — ამას ჩვენ როდი უნდა გიკარნახებდეთ. თუ თქვენ გიქნებათ სურვილი, გამონახავთ ამის გზას.

საბჭოთა მთავრობას აქვს ერთადერთი მიზანი — მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფა. ჩვენ არ ვეძიებთ სხვა გზებს, ვიდრე მეგობრული ურთიერთობის დამყარებაა, და ჩვენ არა გვსურს, რომ ეს ურთიერთობა მიმართული იყოს სხვა სახელმწიფოების — ინგლისის, საფრანგეთის, შეერთებული შტატების წინააღმდეგ ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენი პოლიტიკა არ არის. საბჭოთა კავშირს სურს გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან დაამყაროს ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა და ასეთივე ურთიერთობა გვსურს დავამყაროთ ჩვენს სახელმწიფოსა და დიდ ბრიტანეთს შორის, ჩვენს სახელმწიფოსა და საფრანგეთს შორის, ჩვენს სახელმწიფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანასთან.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა

1955 წლის 10 სექტემბერს

ჩვენ შევიკრიბეთ ამ თათბირზე, რომელიც შესაძლო იყო რამდენადმე უფრო ადრე გამართულიყო. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად აქ დაწყებული მოლაპარაკება სრულებითაც არ შეიძლება ჩაითვალოს არასაკმაოდ მომწიფებულად, რომ არ განვიხილოთ ის პრობლემები, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ პირველად შევხვდით ერთმანეთს, ბუნებრივია, განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გავუგოთ ერთმანეთს, გულახდილად გამოვთქვათ ის, რასაც ვფიქრობთ და ვგრძნობთ, და შევეცადოთ გამოვძებნოთ ჩვენი დაახლოების ის შესაძლებლობანი, რომლებიც ნამდვილად შეესაბამება როგორც საბჭოთა ხალხის, ისე გერმანელი ხალხის ინტერესებს.

ამ შემთხვევაში მე მსურს აზრი გამოვთქვა არა იმდენად როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, რამდენადაც როგორც უბრალო საბჭოთა ადამიანმა. ამასთან ამთავითვე შემიძლია ვთქვა, რომ ორივე ხელით ვაწერ ხელს იმას, რაც ეს არის თქვა ამხანაგმა ხრუშჩოვმა.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, გვერდს ვერ ავუვლით ისეთ განცხადებებს, როცა ჩვენი ტერიტორიების ოკუპანტ ჰიტლერელთა ბოროტმოქმედებას ადარებენ საბჭოთა ჯარების მოქმედებას, რომლებიც ღირსეულად იცავდნენ თავიანთ სამშობლოს დიდი სამამულო ომის დროს. იცავდნენ რა თავს აგრესორისაგან, ისინი იძულებული გახდნენ საომარი მოქმედების მსვლელობაში მიეღოთ ისეთი სამხედრო ღონისძიებანი, რომელთა მიღებლობა არ შეიძლებოდა. სავსებით ცხადია, რომ საბჭოთა ჯარების ეს სამხედრო ღონისძიებანი გერმანიის ტერიტორიაზე არ შეიძლება შევადაროთ ბოროტმოქმედებას, რაც დამპყრობლებმა ჩაიდინეს საბჭოთა ტერიტორიაზე. ეს დამამცირებელი იქნებოდა საბჭოთა ხალხისათვის. იმედი მაქვს, რომ შეგვიძლია ამ საკითხში საერთო ენა გამოვძებნოთ ამ მოლაპარაკებაში.

ახლა უნდა გავიხსენოთ, რომ 1945 წელს, როცა საბჭოთა ჯარები საომარი მოქმედების მსვლელობაში გერმანიის ტერიტორიაზე შევიდნენ, ისინი საერთოდ იმას სჩადიოდნენ, რასაც აგრეთვე ამერიკისა და ინგლისის ჯარები სჩადიოდნენ. რა თქმა უნდა, განსხვავება საბჭოთა და სხვა მოკავშირე ჯარებს შორის მაინც იყო, რამდენადაც საბჭოთა ჯარები მიდიოდნენ წინ, თვითონ კისრულობდნენ ომის მთავარი სიძნელეების დაძლევას. ეს იმით აიხსნება, რომ მანამდე თითქმის ოთხ წელიწადს ომი ჩვენს, საბჭოთა ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, და საბჭოთა არმია სათანადო სისწრაფით და სიმტკიცით მოქმედებდა, რათა დაეჩქარებინა ომის დამთავრება.

აქ მართებულია ითქვას არა მარტო ის, რაც საბჭოთა ჯარებმა გააკეთეს თავისი სამშობლოსათვის, არამედ ისიც, რაც მათ გააკეთეს გერმანელი ხალხისათვის.

ფედერალური კანცლერი გვეუბნებოდა, რომ ჰიტლერი და ჰიტლერიზმი არ უნდა გავაიგივეთ გერმანელ ხალხთან. ჩვენ ამას სავსებით ვეთანხმებით. ჩვენ კარგად გვახსოვს სიტყვები, რომლებიც ი. ბ. სტალინმა ჯერ კიდევ 1942 წლის დამდეგს თქვა, რომ ჰიტლერები მოდიან და მიდიან, ხოლო გერმანელი ხალხი, ხოლო გერმანიის სახელმწიფო რჩება. ეს სიტყვები გამოხატავენ ყველა საბჭოთა ადამიანის ღრმა ფიქრებს.

მაგრამ განა ფაქტი არ არის, რომ, ჰიტლერელთა არმია თავს რომ არ დასხმოდა საბჭოთა კავშირს, არ დაზარალდებოდა აგრეთვე გერმანელი ხალხი. განა ფაქტი არ არის, რომ გერმანელმა ხალხმა თვითონ ვერ გაითავისუფლა თავი ჰიტლერისა და ჰიტლერიზმისაგან. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა ადამიანები ძალიან მოხარული იქნებოდნენ, თუ კი მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გერმანელი ხალხი გაითავისუფლებდა თავს ჰიტლერისა და ჰიტლერიზმისაგან. მაგრამ გერმანელმა ხალხმა მაშინ ეს ვერ გააკეთა.

ფედერალურმა კანცლერმა გუშინ მითხრა, რომ მას არასოდეს არ უნახავს ჰიტლერი და ჰიტლერი რომ ენახა, იგი საკუთარი ხელით დაახრჩობდა მას. ჩვენ გვესმის, რა თქმა უნდა, ბ-ნ ადენაუერის ეს გრძნობა. მაშ გაგვიგეთ ჩვენც, საბჭოთა ადამიანებს, გაიგეთ იმ ისტორიული საქმის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენმა არმიამ შეასრულა, — რომ ჩვენი საბჭოთა არმია იყო ფაშიზმისაგან, ჰიტლერიზმისაგან გერმანელი ხალხის განმათავისუფლებელი.

ეჭვი არ მეპარება, რომ ბ-ნ ადენაუერს არ სურდა რაიმე შეურაცხმყოფელი ეთქვა, როცა იგი შეეხო ჩვენი არმიის საომარ მოქმედებას, რომელიც ომის დამლევს გერმანიის ტერიტორიაზე შევიდა. მაგრამ ჩვენ მაინც უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა ჯარები, რომლებმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღეს, გერმანიაში შევიდნენ როგორც საბჭოთა ხალხის განმათავისუფლებლები და, ამასთან ერთად, როგორც გერმანელი ხალხის განმათავისუფლებლები.

თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენმა ხალხმა ცოტა მსხვერპლი როდი გაიღო ევროპის სხვა ხალხების განთავისუფლებისთვისაც.

გადავდივარ იმ საკითხებზე, რომლებიც დასმულია ჩვენს განსახილველად.

რა წინადადება შემოიტანა საბჭოთა მთავრობამ? საბჭოთა მთავრობამ შემოიტანა და კვლავაც შემოაქვს წინადადება დამყარდეს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის. ამის შესახებ ნათლად და გარკვეულად თქვეს გუშინ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამხანაგმა ბულგანინმაც, ხოლო დღეს ამხანაგმა ხრუშჩოვმაც. ეს კარგი საფუძველი იქნებოდა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის, აგრეთვე კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის. ჩვენ ვიცით, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა თანახმაა, რომ მოლაპარაკება უნდა მიეძღვნას ამ საკითხებს, აგრეთვე ამ საქმესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

თავის მხრივ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა შემოიტანა წინადადება განვიხილოთ აგრეთვე საკითხი, რომელიც ეხება ყოფილ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც საბჭოთა სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული არიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ომის დროს, ესე იგი ფაქტიურად საქმე ეხება სამხედრო დანაშავეთა გარკვეულ ჯგუფს, და მეორე საკითხი — გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ.

დღეს აქ ბ-ნი კანცლერი ამბობდა, რომ თვით სიტყვა „სამხედრო ტყვეები“ არ უხსენებია გუშინდელ განცხადებაში. ეს სავსებით სწორია. არ ყოფილა ნახსენები აგრეთვე სიტყვები „სამხედრო დამნაშავენი“. ესეც სწორია. მაშ ვის შესახებ ვლაპარაკობთ? რას შეიცავს ეს საკითხი, რომელიც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციამ დააყენა? ჩვენში არის რამდენიმე ათასი მსჯავრდადებული სამხედრო დამნაშავე, რომლებმაც თავისი მხეცობით განსაკუთრებული დანაშაული ჩაიდინეს საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ. ჩვენში სხვა არავინ არ არის. სწორედ მათ შესახებ არის ლაპარაკი, რამდენადაც ეს საკითხი დასმულია საბჭოთა მთავრობის წინაშე.

ჩვენ კმაყოფილებით მოვისმინეთ ის შენიშვნები, რომლებიც გააკეთეს როგორც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერმა, ისე საგარეო საქმეთა მინისტრმა, როცა ისინი ამბობდნენ, რომ ესმით საბჭოთა ხალხის გრძნობები, რომელიც გულის სიღრმიდან აღშფოთებულია იმ დანაშაულითა და ბოროტმოქმედებით, რაც საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ ჩაიდინეს დამპყრობლებმა და სამხედრო დამნაშავეებმა.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მთელ გერმანელ ხალხს ეს პრობლემა, ესე იგი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოვექცეთ ხსენებულ მძიმე სამხედრო დამნაშავეებს, მიაჩნდეს ძირითად ან პირველხარისხოვან პრობლემად საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის გადაწყვეტისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ეს საკითხი, სამხედრო დამნაშავეთა საკითხი, ეხება როგორც გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას, ისე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. და თუ თქვენ თანახმა იქნებით განიხილოთ ეს საქმე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად, ამის გაკეთება შეიძლება. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციას ამ პირობებში, ალბათ მიზანშეწონილად არ მიაჩნია ეს. ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

დასმულია აგრეთვე მეორე საკითხი — გერმანიის ერთიანობის აღდგენის საკითხი. ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, სავსებით გასაგებია, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანია ეს საკითხი გერმანელი ხალხისათვის.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ ამჟამად სერიოზული სიძნელეები შეიქმნა ამ საკითხში პარიზის შეთანხმებათა გამო. საბჭოთა კავშირმა თავის დროზე რამდენჯერმე განაცხადა, რომ ამ შეთანხმებათა დადება სრულიად არ შეესაბამება გერმანიის ერთიანობის აღდგენის ინტერესებს, რომ ეს იქნება ის დაბრკოლება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ არ ყოფილა და რომლის თავიდან აცილება შეიძლებოდა. არა მარტო საბჭოთა ადამიანებისათვის, არამედ აგრეთვე მრავალი და მრავალი გერმანელისათვის, აგრეთვე სხვა ქვეყნების ადამიანებისათვის, სავსებით გასაგებია, რომ დასავლეთ გერმანიის მონაწილეობა სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ, და დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის განხორციელება ის გზა არ არის, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს გერმანიის ერთიანობის აღდგენას.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ გავა ცოტა დრო, და ეს ნათელი იქნება გერმანელი ხალხის უმრავლესობისათვის. ის ფაქტი, რომ ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პერიოდში, მოწმობს ამგვარი ვარაუდის სისწორეს.

ნება მიბოძეთ აგრეთვე ვთქვა, რომ გერმანიის გაერთიანების საკითხი არ შეიძლება სწორად გადაიჭრას, თუ თვით გერმანელები არ გააერთიანებენ თავიანთ ლონისძიებებს და არ მოჰკიდებენ ხელს ამ საკითხის გადაჭრას. სწორად იყო ნათქვამი, რომ ამ საქმეში ვალდებულებები აკისრია ოთხ სახელმწიფოსაც. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, საბჭოთა მთავრობას, ჩვენ ეს მშვენივრად გვესმის. და მაინც გერმანიის ერთიანობის აღდგენა უწინარეს ყოვლისა თვით გერმანელების საქმეა. უამისოდ, უიმისოდ, რომ გერმანელებმა საერთო ენა გამონახონ ამ საქმეში, ვერ გადაილახება ის სიძნელეები, რომლებიც არის.

აქ ითქვა, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაცია არ აყენებს არავითარ „წინასწარ პირობას“. ჩვენ კი გვესმის იმგვარად, რომ არ აყენებთ არავითარ წინასწარ პირობას დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩვენ მივესალმებით ფედერალური კანცლერის ასეთ ნათელ განცხადებას. ამავე თვალსაზრისით ჩვენ მივესალმებით გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ფონ ბრენტანოს დღევანდელ განცხადებასაც, რომელმაც აგრეთვე უარყოფითი აზრი გამოთქვა ეგრეთწოდებული „წინასწარი პირობების“ შესახებ. მაგრამ ფედერალური კანცლერის გუშინდელი განცხადება იმის შესახებ, რომ უნდა გადაიჭრას ის საკითხებიც, რომლებიც დასმულია საბჭოთა მთავრობის წინადადებებში, და ის საკითხებიც, რომლებიც დასმულია ფედერალური კანცლერის განცხადებაში, „როგორც ერთი მთლიანი“, სხვას არას მოასწავებენ, თუ არა თავისებურ „წინასწარ პირობებს“.

ხომ არ უნდა გავიგოთ ეს განცხადება ისე, რომ არ შეიძლება დამყარდეს დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, სანამ არ გადაიჭრება სამხედრო დამნაშავეთა საკითხი და გერმანიის გაერთიანების საკითხი?

თუ ჩვენ დავუცდით სამი ან ოთხი ან კიდევ მეტი პრობლემის ერთსა და იმავე დროს გადაჭრას, რომელთაგან თვითეულს თავისი მნიშვნელობა აქვს, ისმება კითხვა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოღაპარაკება

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვის დასასრული

ისე არა ნაკლებ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ინტერესებს. ეს საკითხი შეგვეძლო დღესვე გადაგვეჭრა, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს შემდგომ გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ყველა სხვა საკითხის განსახილველადაც. ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საკითხის გადაწყვეტის გადადება, ისე როგორც მისი სანახევროდ გადაჭრის ყოველგვარი ცდა, ვერ აღწევს მიზანს და სრულიად მიზანშეუწონელია.

მე ვფიქრობ, ჩვენ რომ ხუთი წლის წინათ ერთმანეთს შევხვედროდით, ვითარება უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, ვიდრე ახლა, ომის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ. მაგრამ ახლაც შეიძლება, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირად მოვიქცეთ.

საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა იკისროს ინიციატივა ამ საქმეში, ორი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრის საქმეში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამას სწორად გაიგებს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციაც. მაგრამ მე ისევ დამრჩენია, რომ შევუერთდე იმ სიტყვებს, რომლებიც გამოითქვა ჩემს წინ, რომ თუ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა საჭიროდ მიიჩნევს გადაიდოს ამჟამად განსახილველი საკითხის გადაწყვეტა კიდევ რაღაც ვადით, დაე ასე იყოს.

მინდა შევეხო კიდევ იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს მიერ განსახილველი საკითხებისათვის ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის ამასწინანდელ თათბირს. ეჭვი არ უნდა იყოს, რომ იგი კარგი წანამძღვარია ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობის გაუმჯობესებისა და გერმანიის პრობლემის გადაჭრისათვის.

მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ ჟენევის თათბირი იყო ისეთი ეტაპი ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობაში, რომელიც შეესაბამება მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ინტერესებს. და მაინც დასავლეთ გერმანიის, და არა მარტო დასავლეთ გერმანიის, ზოგიერთ გაზეთში გვიხდება წაკითხვა, თითქოს ჟენევის თათბირს ზოგიერთი არახელსაყრელი შედეგი მოჰყვა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანელი ხალხისათვის. ამას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც არა სურს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელება და საწინააღმდეგო მხარისაკენ იწევს. გაუმჯობესება, რომელიც შეგვიძლია აღვნიშნოთ ამჟამად ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობაში, უფრო ხელსაყრელ მდგომარეობას ქმნის დარჩენილი გადაუჭრელი ომისშემდგომი საკითხების მოსაწესრიგებლად. ამით ეს სასარგებლოა გერმანიის პრობლემის წარმატებით გადაჭრისთვისაც.

ახლანდელი მოლაპარაკების თვით ფაქტი მოწმობს, რომ დაიწყო ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობის გაუმჯობესება. ამ მოლაპარაკებამ ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ყველაფერი ეს შეესაბამება როგორც საბჭოთა ხალხის ინტერესებს, ისე აგრეთვე გერმანელი ხალხის ინტერესებს.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვაგს-მდივნის ვ. ჰალშტაინის განცხადება

1955 წლის 10 სექტემბერს

ბატონი ფედერალური კანცლერი უკვე მიესალმა იმას, რომ საბჭოთა მთავრობამ თავის 7 ივნისის ნოტაში გამოთქვა დაინტერესება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ვაჭრობის დარგში მტკიცე ურთიერთობის დამყარებით.

უკანასკნელ წლებში ფედერალურმა რესპუბლიკამ შეძლო მნიშვნელოვანწილად აღედგინა თავისი მეურნეობა, რომელიც მთლიანად დანგრეული და დეზორგანიზებული იყო დამარცხების შედეგად, და მიეღწია მეტ წილ მოვაჭრე ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი მოცულობისათვის. ამ განვითარებამ ამავე დროს ცხადყო, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერებს შორის კარგი ეკონომიური ურთიერთობის დამყარებას საყოველთაო კეთილდღეობისათვის, აგრეთვე პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

მეორე მხრივ, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ხანგრძლივი და ორმხრივ სასარგებლო სავაჭრო ურთიერთობის ერთ-ერთი წინასწარი პირობაა ურთიერთ ნდობის ატმოსფერო. ფედერალური მთავრობა ემყარება იმ იმედს, რომ მოლაპარაკება, რომელიც აქ მიმდინარეობს, ხელს შეუწყობს ფედერალურ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ტრადიციული ვაჭრობის კვლავ გამოცოცხლების ამ წანამძღვარების შემნას.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგ ის, რომ ჩვენი მოწესრიგებული სავაჭრო ურთიერთობა დარღვეული იყო მრავალი წლის განმავლობაში, თუმცა უკანასკნელ წლებში მოხდა ცალკეული გარიგებანი ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე. ამ შეწყვეტის დროს ორივე მხარეზე მოხდა დიდი ცვლილებები ჩვენს ქვეყნებს შორის საქონელგაცვლის მატერიალურ და სტრუქტურულ წანამძღვარებში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შედეგად. ამიტომ ჩვენ ერთობლივი მეცადინეობით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა პრაქტიკული შესაძლებლობანია საქონელბრუნვის ასაღორძინებლად ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი მოცულობით. ამისათვის საჭირო იქნება მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან ასეთი საქონელგაცვლის ხასიათისა და მოცულობის შესახებ.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა

12 სექტემბერს დილის 10 საათზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში გაიმართა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის გ. ფონ ბრენტანოს შეხვედრა. შეხვედრას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. ფ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი; გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მხრივ — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ვ. ჰალშტაინი, ელჩი გ. ბლანკენჰორნი, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების დირექტორი ვ. გრეგე.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების 10 სექტემბრის მოლაპარაკების დროს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მინისტრებმა განიხილეს იმ კონკრეტულ წინადადებათა საკითხი, რომლებიც შეიძლება გაუკეთონ დელეგაციათა მეთაურებს წინათ მომხდარი აზრთა გაცვლის გათვალისწინებით.

მინისტრები შეთანხმდნენ მოახსენონ შეხვედრის შედეგები სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების სხდომას, რომელიც გაიმართება 12 სექტემბერს 16 საათზე მოსკოვის დროით.

საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია კანადიდან სამშობლოში გამოემგზავრა

ოტავა, 11 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია, რომელიც ორ კვირას იყო სტუმრად კანადაში, გუშინ ოტავიდან სამშობლოში გამოემგზავრა ნიუ-იორკს, პარიზსა და პრაღაში გამოვლით.

დელეგაცია აეროდრომზე გამოაცილეს საბჭოთა კავშირის ელჩმა კანადაში გ. ს. ჩუვახინმა და საბჭოთა კავშირის ოტავის საელჩოს თანამშრომლებმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. (საკდესი). 9 სექტემბერს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გ. სტასენი.

ქვეკომიტეტის სხდომის შემდეგ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა, უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, განაცხადა: „ქვეკომიტეტის დღეანდელ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ იგი ჯერ კიდევ ელოდება ამერიკის დელეგაციის პასუხს კითხვებზე, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ დააყენა 1 სექტემბრის სხდომაზე. როგორც ცნობილია, ეს კითხვები შეეხებოდა დონეს, რომლამდეც უნდა შემცირდეს ხუთი დიდი სახელმწიფოს და სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, განიარაღების საერთო პროგრამის ჩარჩოებში ატომური იარაღის სრული აკრძალვის ძალაში შესვლის დროს, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას, აგრეთვე სახელმწიფოების მიერ ვალდებულების მიღებას არ გამოიყენონ ატომგული იარაღი ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლამდე.

ბ-ნ სტასენის განცხადება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ირჩენენ თავიანთ პოზიციას ქვეკომიტეტში წინათ შეტანილი ყველა წინადადების მიმართ, შესაძლებლობას არ გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ საბჭოთა კავშირის 10 მაისის წინადადებებისადმი ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულებაზე. ეს წინადადებანი, როგორც ცნობილია, შეიცავენ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ამომწურავ პროგრამას“.

ა. ა. სობოლევმა თქვა, რომ საბჭოთა დელეგაციამ ამერიკის დელეგაციის წინაშე დააყენა აგრეთვე საკითხი, შეიცავს თუ არა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადება შეიარაღებული ძალების თანობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ ცნობებს როგორც ჩვეულებრივი შეიარაღების, ისე ატომური და წყალბადის იარაღის შესახებ.

ქვეკომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება სამშაბათს — 13 სექტემბერს.

მუშაობა დაამთავრა სრულიად გერმანიის მუშათა მესამე კონფერენციამ

ბერლინი, 10 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ლაიფციგში მუშაობა დამთავრა სრულიად გერმანიის მუშათა მესამე კონფერენციამ. კამათში გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ულბრიხტი.

სრულიად გერმანიის მუშათა კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მიმართვას ყველა გერმანელი მუშისადმი და მოუწოდებს მათ ყოველი ღონე იხმარონ გერმანიის მუშათა კლასის დასაროზმავად.

ჩვენ მოვუწოდებთ დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა ყველა წევრს, ნათქვამია რეზოლუციაში, მოაწყონ მუშათა და პროფკავშირების წევრთა დელეგაციების გაცვლა გერმანიის ორივე ნაწილს შორის და მოსთხოვონ ფედერალურ მთავრობას — ნორმალური ურთიერთობა დამყაროს გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გერმანიის ორი ნაწილის დაახლოების მიზნით.

ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება შასების გადიდების შესახებ

ჯაკარტა, 10 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ინდონეზიის პრესა იუწყება, უკანასკნელ დროს ინდონეზიაში აღინიშნება კვების პროდუქტების ფასების მკვეთრი გადიდება. ცენტრალურმა სტატისტიკურმა ბიურომ გამოაქვეყნა ცნობები, რომლებიდანაც ჩანს, რომ კვების პროდუქტების ფასი ჯაკარტაში აგვისტოს მეორე ნახევარში 5 პროცენტით გადიდდა.

ფასების გადიდებით პირველ რიგში ზარალდება მშრომელი მოსახლეობა.

დღეს გამოქვეყნდა ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მთელი ხალხისადმი მოწოდებით — იბრძოლოს ფასების გადიდების წინააღმდეგ, მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს, რომ კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის ფასები ხელისუფლების სათავეში ხარახაპის კაბინეტის ყოფნის დროს მკვეთრად გადიდდა. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ ხარახაპის კაბინეტმა ვერ შეასრულა თავისი დაპირება ფასების შემცირების შესახებ, და აღნიშნავს, რომ მთელმა ხალხმა, ყველა მასობრივმა ორგანიზაციამ მთავრობას უნდა მოსთხოვონ შემციროს ფასები არჩევნების დაწყებამდე.

ამერიკის ჯარების განლაგებისათვის იტალიაში

პარიზი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ შეიქმნა შეიარაღებული ძალების ახალი დაჯგუფება, რომელიც ემორჩილება ევროპაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების სარდალს. დაჯგუფების განლაგების ადგილია ჩრდილოეთი იტალია. ამ დაჯგუფებაში შევა 5 ათასამდე ჯარისკაცი უმთავრესად ავსტრიიდან გამოყვანილი ამერიკელთა შეიარაღებული ძალების რიცხვიდან.

ამ დაჯგუფებას ერქმევა „ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ოპერატიული შეიარაღებული ძალები ევროპის სამხრეთ ზონაში“.

კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა მიიღეს საპარლამენტთაშორისო კავშირის თავმჯდომარე ლორდ სტეინსჰეიზი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეთა მოწვევით მოსკოვს ჩამოსული საპარლამენტთაშორისო კავშირის თავმჯდომარე ლორდი სტეინსჰეიტი ამა წლის 8 სექტემბერს კრემლში მიიღეს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა.

საუბრის დროს, რამაც ერთ საათამდე გასტანა, განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობას და საპარლამენტთაშორისო კავშირის საქმიანობას. საპარლამენტთაშორისო კავშირის თავმჯდომარემ ლორდმა სტეინსჰეიტმა საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფმა უფრო სრული და ყოველმხრივი მონაწილეობა მიიღოს საპარლამენტთაშორისო კავშირის მუშაობაში.

კ ო მ უ ნ ი კ ე

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეექვსე სესიის შესახებ

ამ დღეებში ქალაქ ბუქარესტში გაიმართა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეექვსე სესია.

სესიაზე განიხილეს მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ურთიერთგაცვლის საკითხები.

განხილვის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა კავშირი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას გაუწევს საწარმოო-ტექნიკურ დახმარებას საბჭოთა სპეციალისტების მივლინების გზით ნავთობის მრეწველობის, ელექტროსადგურების, მანქანათმშენებლობისა და ტრანსპორტის დარგში კონსულტაციის მიცემით და არასაკვები ნედლეულის ბაზაზე სინთეზური კაუჩუკის წარმოების საქროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის, ნავთობის, სატრაქტორო, გემსაშენი, მანქანათმშენებლობისა და მრეწველობის სხვა დარგებისათვის მოწყობილობის წარმოების ნახაზების გადაცემის გზით.

ამავე დროს საბჭოთა კავშირი მიიღებს რუმინელ სპეციალისტებს, რათა მათ გააცნოს სამთო სამუშაოთა მექანიზაცია, რკინიგზის ტრანსპორტის მიღწევები, სიმინდის ექსტრაქტისა და გლუკოზის, სულფიტური ცელულოზის წარმოების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვის საკითხები.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის მხრივ, საბჭოთა კავშირს გადასცემს იმ მოწყობილობის წარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციას, რომელსაც ხმარობენ ელექტროტექნიკურ, ქიმიურ, ხე-ტყისა და მრეწველობის სხვა დარგებში.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფს გააცნობს მრეწველობის, შენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის ტექნიკურ მიღწევებს.

მეექვსე სესიის მუშაობა მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

საბჭოთა დელეგაციას კომისიის მეექვსე სესიის მუშაობის პერიოდში გააცნეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

ჩინეთ-ამერიკის შეთანხმება სამოქალაქო პირთა რეპატრიაციის შესახებ

ჟენევა, 10 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთა მორიგი სხდომა. სხდომის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება, რომელიც ცხადყოფს, რომ მოლაპარაკება იმ საკითხზე, რომ ორივე მხარემ მოახდინოს სამოქალაქო პირთა რეპატრიაცია, შეთანხმებით დაგვირგვინდა. განცხადებაში ნათქვამია, რომ როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ ჩინელ მოქალაქეებს, ისე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მყოფ ამერიკელ მოქალაქეებს შეუძლიათ დაბრუნდნენ სამშობლოში, თუ ამას მოისურვებენ.

მიღწეული შეთანხმება განსაზღვრავს რეპატრიაციის პირობებს, აგრეთვე ადგენს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა ინტერესებს დაიცავს დიდი ბრიტანეთი, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებისას — ინდოეთი.

ელჩთა ერთობლივი განცხადების ტექსტში ნათქვამია:

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩები შეთანხმდნენ გამოაცხადონ ღონისძიებანი, რომლებიც მათმა მთავრობებმა მიიღეს იმის შესახებ, რომ ორივე მხარემ მოახდინოს სამოქალაქო პირთა რეპატრიაცია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დავალებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა ვან ბინ-ნანმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს უ. ა. ჯონსონს აცნობა, რომ:

1. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ცნობს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მყოფ ამერიკელ მოქალაქეებს, რომელთაც სურთ დაბრუნდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, უფლება აქვთ დაბრუნდნენ, და აცხადებს, რომ განხორციელებულ იქნება სათანადო ღონისძიებანი, რათა მათ შეეძლოთ რაც შეიძლება მალე განახორციელონ ეს უფლება.

2. დიდი ბრიტანეთის მთავრობა მოწვეული იქნება მიიღოს მონაწილეობა იმ ამერიკელთა დაბრუნების განხორციელებაში, რომელნიც მოისურვებენ გააკეთონ ქვემოაღნიშნული:

ა) თუ ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე მოქალაქეს, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება, მიაჩნია, რომ, მიუხედავად გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გამოაცხადა, მას დაბრკოლება ხვდება თავის დაბრუნებაში, მას შეუძლია ამ შეშფოთებაში აცნობოს ეს დიდი ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და სთხოვოს მისი საჩელით მიმართოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას. ამერიკის შეერთებული შტატების სურვილისამებრ ბრიტანეთის მთავრობას შეუძლია აგრეთვე გამოიძიოს ფაქტები ყოველ ასეთ შემთხვევაში.

ბ) თუ ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე მოქალაქე, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება და რომელსაც სურს დაბრუნდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მის დაბრუნებასთან დაკავშირებით სიძნელეებს განიცდის ფულის მხრივ, დიდი ბრიტანეთის მთავრობას შეუძლია გაუწიოს მას საჭირო ფინანსური დახმარება.

3. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ფართოდ გამოაქვეყნებს ზემოაღნიშნულ შეთანხმებას და დიდი ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შეუძლია იგივე გააკეთოს“.

განცხადებაში შემდეგ ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა უ. ა. ჯონსონმა ამავე გამოთქმებით აცნობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს ვან ბინ-ნანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სწორედ ასეთსავე ღონისძიებებს განახორციელებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა რეპატრიაციისათვის, რომელნიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან და სურთ დაბრუნდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

საბჭოთა კულტურის მოღვაწეების დელეგაცია პოლონეთში

ვარშავა, 10 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა კულტურის მოღვაწეების დელეგაცია, რომელიც პოლონეთში ჩამოვიდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციულ ერთთვიურში მონაწილეობის მისაღებად, პოლონეთის საზოგადოებრივობის სხვადასხვა წრეების ხვდება. ეს შეხვედრა ყველგან წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციას.

დელეგაციის ხელმძღვანელმა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრმა ვ. ელიუტინმა და სახელმწიფო ერმიტაჟის დირექტორმა მ. არტამონოვმა ინახულეს პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. დემბოვსკი, მეგობრული საუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებმა, განყოფილებათა მდივნებმა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დირექტორებმა, განხილულ იქნა განათლებისა და კულტურის განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

მოსკოვის სახალხო განათლების საოლქო განყოფილების გამგე ფ. მაქსიმენკო შეხვდა ვარშავის საქალაქო სახალხო საბჭოს განათლების განყოფილების მუშაკებს და დაათვალიერა ვარშავის ერთ-ერთი სკოლა.

დელეგაციის წევრმა სეროვის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ბრიგადის ოსტატმა ფ. მუხარკინმა და სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის კულტურის სახლის დირექტორმა ნ. ბარანოვმა დაათვალიერეს ვარშავის მსუბუქი ავტომობილების ქარხანა.

გულგარეთის პროფკავშირული დელეგაცია თბილისში

12 სექტემბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამ პროფკავშირის თავმჯდომარე ი. პოპოვი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში სტუმრად არის სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ი. ჭოტია, საქართველოს სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ს. მიქელაძე, თბილისის ჩაისასწორი ფაბრიკის დირექტორი მ. სარჯველაძე და სხვები.

ბულგარეთის პროფკავშირის წარმომადგენლები გაეცნობიან რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას, დაათვალიერებენ მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ დაწესებულებებს. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

სსრ კავშირის სახელმწიფო მეურნეობის ეროვნული ეკონომიკის გეგმვის მეექვსე სესიის სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-12 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1955 წლის 4 სექტემბერს ქალ. მახაჩკალაში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
060235	06*)	1.000	070722	21*)	5.000
060525	1—50	200	070779	22*)	1.000
060533	1—50	200	071419	04*)	1.000
060615	1—50	500	071470	1—50	200
061074	50*)	1.000	071638	44*)	1.000
061233	34*)	1.000	071778	11*)	1.000
061366	1—50	200	071865	01*)	5.000
061542	50*)	1.000	071932	17*)	1.000
061750	08*)	1.000	072140	23*)	1.000
061931	27*)	1.000	072159	48*)	1.000
062023	35*)	1.000	072162	09*)	1.000
062039	25*)	1.000	072297	25*)	1.000
062082	44*)	1.000	072306	1—50	200
062238	01*)	10.000	072344	32*)	1.000
062257	1—50	500	072387	1—50	500
062388	20*)	1.000	072477	46*)	1.000
062496	1—50	500	072518	09*)	1.000
062498	19*)	1.000	072544	1—50	200
062510	1—50	500	072811	32*)	1.000
062577	47*)	1.000	072840	40*)	1.000
062644	46*)	1.000	072984	1—50	500
062952	03*)	1.000	073002	1—50	500
063329	44*)	1.000	073208	1—50	200
063387	13*)	1.000	073236	44*)	1.000
063474	1—50	500	073370	43*)	1.000
063614	16*)	1.000	073377	34*)	1.000
063619	1—50	200	073581	09*)	5.000
063639	40*)	1.000	073742	1—50	500
063657	02*)	1.000	073895	05*)	5.000
063736	19*)	1.000	074040	06*)	1.000
063875	23*)	1.000	074047	11*)	1.000
063931	04*)	1.000	074188	49*)	1.000
064063	1—50	500	074255	45*)	1.000
064256	1—50	500	074303	46*)	1.000
064470	24*)	1.000	074351	31*)	1.000
064570	29*)	1.000	074471	13*)	1.000
064639	20*)	1.000	074533	1—50	200
064868	33*)	10.000	074587	1—50	500
065254	1—50	200	074653	23*)	1.000
065427	1—50	200	074671	03*)	1.000
065447	41*)	1.000	074774	25*)	1.000
065614	26*)	1.000	074818	13*)	1.000
065732	39*)	1.000	074828	04*)	10.000
065791	1—50	500	074893	1—50	200
065927	33*)	1.000	074986	1—50	200
065971	44*)	50.000	075140	1—50	500
066068	1—50	500	075191	1—50	200
066331	22*)	1.000	075350	31*)	5.000
066417	22*)	1.000	075405	19*)	1.000
066610	09*)	1.000	075616	25*)	1.000
066699	13*)	1.000	075795	35*)	25.000
067012	09*)	1.000	075959	18*)	1.000
067082	28*)	1.000	075995	1—50	200
067222	1—50	200	076201	06*)	1.000
067630	08*)	1.000	076403	37*)	1.000
067635	13*)	1.000	076563	17*)	5.000
067639	39*)	5.000	076728	05*)	1.000
067734	1—50	200	076907	1—50	200
067804	03*)	1.000	076997	12*)	1.000
068151	19*)	1.000	077120	1—50	500
068159	15*)	1.000	077145	45*)	1.000
068176	49*)	1.000	077262	33*)	1.000
068213	05*)	1.000	077271	37*)	1.000
068236	45*)	1.000	077276	29*)	25.000
068429	28*)	1.000	077472	1—50	200
068647	1—50	200	077478	26—50	200
068706	08*)	1.000	077659	1—50	500
068713	41*)	1.000	077705	1—50	500
068875	42*)	10.000	077885	1—50	500
068902	1—50	200	078103	1—50	200
069131	12*)	1.000	078283	32*)	1.000
069169	37*)	1.000	078320	1—50	200
069177	18*)	1.000	078573	47*)	1.000
069270	1—50	200	078639	1—50	200
069297	1—50	500	078658	24*)	5.000
069400	47*)	10.000	078691	18*)	1.000
069507	08*)	1.000	078841	1—50	200
069522	32*)	5.000	078897	40*)	1.000
069532	43*)	1.000	079039	09*)	1.000
069731	18*)	1.000	079252	22*)	1.000
069770	49*)	1.000	079492	50*)	1.000
070177	1—50	200	079560	1—50	200
070181	04*)	5.000	079583	18*)	1.000